# სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის პოლიტიკა

## სააგენტოს შესახებ:

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ფუნქცია და უფლებამოსილებაა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით.

## სააგენტოს ძირითადი უფლება-მოვალეობებია:

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა. ასევე, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

## ხარისხის მართვის პოლიტიკა

საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისა და უწყვეტი განვითარებისთვის, ასევე დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, სააგენტოში დანერგილია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებზე დაფუძნებული ხარისხის მართვის სისტემა. სისტემის სრულყოფის მიზნით, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან: ბიზნესოპერატორებთან, ფერემერებთან, სურსათის მომხმარებლებთან, სხვადასხვა სერვისების მომწოდებლებთან, ზემდგომ სტრუქტურებთან, საჯარო სექტორის სხვადასხვა უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის დონორებთან და ა .შ.

## საკუთარი საქმიანობის წარმართვისას სააგენტო:

- ითვალისწინებს მის საქმიანობაზე მოქმედ ძირითად შიდა და გარე ფაქტორებს, მათგან მომდინარე რისკებსა და შესაძლებლობებს. ასევე, ანგარიშს უწევს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს, საჩივრებსა და რეკომენდაციებს;
- განსაზღვრავს და აფასებს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც გავლენას ახდენს მისი ფუნქციების შესრულების ხარისხზე;
- გეგმავს სააგენტოს ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მისაღწევად საჭირო დროში გაწერილ აქტივობებს და მათ მისაღწევად საჭირო კონკრეტულ სამოქმედო ნაბიჯებს;
- უზრუნველყოფს სააგენტოს საქმიანობის სხვადასხვა მომხმარებელ ჯგუფებთან ურთიერთობების განსხვავებულ მიდგომებს, იკვლევს აღნიშნული ჯგუფების აზრს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მუდმივად ცდილობს საკუთარი პროცესების სრულყოფას და დაახლოვებას დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებთან;

- ახდენს თანამშრომლების კომპეტენციის პერიოდულ კვლევას, უზრუნველყოფს კომპეტენციის ასამაღლებელი ტრენინგების ორგანიზებას და აფასებს ჩატარებული სასწავლო პროგრამების ეფექტურობას;
- მონაწილეობას იღებს საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ევროკავშირთან დაახლოვების პროცესში;
- ზრუნავს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომელთა ჩართულობაზე ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებაში;
- უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტის პერიოდულ განხორციელებას, აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების ანალიზს, მაკორექტირებელი ღონისძიებების დასახვას და მათ განხორციელებას.

**ხარისხის მართვის სისტემის გავრცელების არეალი:**

სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარისხის მართვის სისტემა ვრცელდება

1. სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისა და თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე;
2. ვეტერინარიის მიმართულებით სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე.

**ხარისხის მართვის სისტემის არეალში შემავალი დამხმარე პროცესებია:**

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;
- ვეტერინარიის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;
- ადამიანური რესურსების მართვა - თანამშრომელთა რეკრუტინგი, ადაპტაცია და მათთვის სასწავლო პროგრამების ორგანიზება;
- ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების შემუშავება;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა;
- დოკუმენტაციის მართვა;
- საერთაშორისო ურთიერთობები და გამოცდილების გაზიარება;
- სახელმწიფო შესყიდვები და გაწეული მომსახურების ან მოწოდებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი;
- სააგენტოს შიდა აუდიტი.

ხარისხის მართვის სისტემა დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის მოთხოვნებზე. გამონაკლისს წარმოადგენს სტანდარტის 8.3. პუნქტი, რომლის მოთხოვნებიც არ ესადაგება სააგენტოს საქმიანობას.